1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 11 (134) 20 აპრილი 1961 წელი


## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი


177. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლ. ი. სოკოლოვის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

178. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. ა. თოვმასიანის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

179. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის გაუქმების შესახებ.

180. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

181. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. ხრუნიჩევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

182. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტის" წოდების დაწესების შესახებ.


#### განყოფილება მეორე


183. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლატვიის სსრ თევზის მრეწველობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

184. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მფრინავ მაიორ ი. ა. გაგარინისათვის „სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის“ წოდების მინიჭების შესახებ.

185. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მსოფლიოში პირველი საბჭოთა მფრინავი-კოსმონავტის მაიორ ი. ა. გაგარინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა გვინეის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სორი კაბამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება მეორე

186. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. ი. სინაურიძის (სინაურის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

187. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. მესხის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**177** **ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლ. ი. სოკოლოვის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს ლეონიდ ივანეს ძე სოკოლოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 7 აპრილი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**178** **ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. ა. თოვმასიანის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს სურენ აკოფის ძე თოვმასიანი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 7 აპრილი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**179** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის გაუქმების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
გაუქმდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 180 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 აპრილი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 181 ამხ. მ. ვ. ხრუნიჩევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ვასილის ძე **ხრუნიჩევი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 აპრილი.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 182 „სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის“ წოდების დაწესების შესახებ

თანამგზავრი ხომალდით მსოფლიოში ადამიანის პირველი კოსმოსური გაფრენის აღსანიშნავად დაწესდეს წოდება „სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 183 ლატვიის სსრ თევზის მრეწველობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გაშლილ ზღვებში თევზის სარეწების განვითარებაში თვალსაჩინო წარმატებებისა და თევზის ჭერაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. ხარი მარტინის ძე **ლიდაქსს** — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 4580 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერის კაპიტანს.

2. ვალენტინ პარამონის ძე **შუვაევს** — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 9104 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერ-რეფრიჟერატორის კაპიტანს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 184 მფრინავ მაიორ ი. ა. გაგარინისათვის „სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის“ წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“ მსოფლიოში პირველი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის“** წოდება საბჭოთა კავშირის მოქალაქეს, მფრინავს მაიორ იური ალექსის ძე **გაგარინს.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 185 მსოფლიოში პირველი საბჭოთა მფრინავი-კოსმონავტის მაიორ ი. ა. გაგარინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გმირობისათვის — კოსმოსში პირველი გაფრენისათვის, რამაც ასახელა ჩვენი სოციალისტური სამშობლო, მამაცობის, გამბედაობის, უშიშრობის გამოჩენისა და საბჭოთა ხალხისადმი, კომუნიზმის საქმისადმი, მთელი კაცობრიობის პროგრესის საქმისადმი თავდადებული სამსახურისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი

„ოქროს ვარსკვლავი" მსოფლიოში პირველ მფრინავ-კოსმონავტს მაიორ იური ალექსის ძე გაგარინს და დაიდგას გმირის ბრინჯაოს ბიუსტი ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 აპრილი.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა გვინეის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სორი კაბამ

ა. წ. 8 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო გვინეის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სორი კაბა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები. ელჩს ახლდა საელჩოს ატაშე ტ. სოუ, რომელიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ვ. ა. ბრიკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ნ. კოლიჩევი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და სორი კაბამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა სორი კაბას. საუბარს დაესწრნენ მ. პ. გიორგაძე და ვ. ს. სემიონოვი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

თევზის მრეწველობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისა და თევზის ჭერისა და დამუშავების სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ლატვიის სსრ 223 თევზის მრეწველობის მუშაკი და მეთევზე-კოლმეურნე.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებული არიან: ე. რ. ბეკმანი — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 9077 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერ-რეფრიჟერატორის უფროსი მექანიკოსი, ა. ფ. ბუში — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" № 101 თევზსაჭერი მცირე ტრაულერის კაპიტანი, ი. დ. ვეტ-

რა — მეთევზეობის კოლმეურნეობა „სარკანა ბაკას“ № 9084 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერ-რეფრიჟერატორის თევზის ჭერის ოსტატი, ა. ი. ზაფატ[illegible]ვი — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს თევზსაჭერი დიდი გამყინავი ტრაულერი „კრიშიან ვოლდემარის“ თევზის ჭერის უფროსი ოსტატი, ი. ე. კალნინი — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 9038 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერ-რეფრიჟერატორის კაპიტანი, ი. ი. კალპინი — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 4498 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერის კაპიტანი, ბ. ნ. კანდაუროვი — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 9115 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერ-რეფრიჟერატორის კაპიტანი, პ. ბ. მაზიტანი — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ № 9114 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერ-რეფრიჟერატორის კაპიტანი, მ. ნ. პესე — მეთევზეობის კოლმეურნეობა „9 მაისის“ № 9113 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერ-რეფრიჟერატორის კაპიტანი, ი. მ. რილეევი — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 4483 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერის კაპიტანი და ვ. ი. იაროსლავცევი — საექსპედიციო ჭერის სამმართველოს № 4287 თევზსაჭერი საშუალო ტრაულერის თევზის ჭერის უფროსი ოსტატი.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია 32 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 45, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 67 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 68 კაცი.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 186 ა. ი. სინაურიძის (სინაურის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და შემოქმედებითი მოღვაწეობის 35 წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ანდრია ივანეს ძე **სინაურიძე (სინაური)** დაჯილდოებულ იქნას **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 12 აპრილი.

## 187 ამხ. ი. ს. მესხის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და დაგეგმვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ამხ. ირაკლი სერგოს ძე მესხი დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 12 აპრილი.